

შპს “ ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია ”

არააუდირებული ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი



ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	4

არაუდიდრებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	5
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. შემოსავლები	8
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8
6. ადმინისტრაციული ხარჯები.....	8
7. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები.....	8
8. ფულადი სახსრები	9
9. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	9
10. პირობითი ვალდებულებები	10
11. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	10

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის

შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები	8	6,943
საგადასახადო აქტივი		1,143,877
გადახდილი ავანსები		1,437
სავაჭრო მოთხოვნები		18,213
	1,152,789	625,864
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,163,016	1,789,391
სულ აქტივები	1,163,016	1,789,391
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	28	25,995
სავაჭრო ვალდებულებები	46,915	355,374
სახელშეკრულებო ვალდებულებები	32	162,211
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	46,975	543,580
სულ ვალდებულებები	46,975	543,580
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	1,115,841	1,245,611
სულ კაპიტალი	1,116,041	1,245,811
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,163,016	1,789,391

გიორგი ყვავილაშვილი
დირექტორილელა ლაკერბაია
მთავარი ბუღალტერი



2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ინდივიდუალური ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	4	13,135,421	7,608,880
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(11,952,500)	(6,614,952)
საერთო მოგება		1,182,921	993,928
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(52,836)	(37,610)
კომერციული ხარჯები		(256,483)	(59,746)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		873,602	896,572
ფინანსური შემოსავალი	7	9,486	104,444
ფინანსური ხარჯები	7	(87,858)	(224)
მოგება დაბეგვრამდე		795,230	1,000,792
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		795,230	1,000,792
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი) მიკუთვნებული:			
კომპანიის მფლობელებს		795,230	1,000,792
არამაკონტროლირებელ წილს		-	-
მთლიანი სრული ზარალი		795,230	1,000,792
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1,245,611	744,819
გაცემული დივიდენდები		(925,000)	(500,000)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1,115,841	1,245,611

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტრანსკავკასიური იმპექს კომპანია“ (შემდგომში კომპანია) საიდენტიფიკაციო ნომერია 401964683. კომპანია დარეგისტრირდა 2011 წლის 21 ნოემბერს და ის საქართველოში ფუნქციონირებს. კომპანია შეიქმნა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დიდმის მასივი, VI კვ., 22 ბ კორპუსი.

2021 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ტრანსკავკასიური იმპექს კომპანიის“ 100%-იანი დამფუძნებელი იყო შპს „ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია“.

შპს „ტრანსკავკასიური იმპექს კომპანიის“ საქმიანობა არის საცხებ-საპოხი პროდუქციის რეალიზაცია სომხეთსა და აზერბაიჯანში.

2. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძვლები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.2. შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე, შემოსავალი აღიარდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ.

2.3. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

შესაბამისად, წლის ბოლოსათვის, კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული მოგებისა და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4. გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. განაწილებული მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახადელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა აისახება როგორც საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გარდა ან ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, რომლებიც წმინდა სახით აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის ანგარიშების დანერგვით. ამიტომ კომპანია თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

2.5. ფულადი სახსრები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკსა და სალაროში.

2. ფინანსური ანგარიშგების მოზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის მარაგს წარმოადგენს გასაყიდად გამოზნული საქონელი.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც აწარმოეს ან შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

2.7. სავაჭრო მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მხოლოდ რეალიზაციიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს.

2.8. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგება/ზარალში.

2.9. მიღებული სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.10. იჯარა

კომპანიას საანგარიშო პერიოდში აქვს საოპერაციო იჯარა. კომპანია იჯარის კლასიფიკაციას ახდენს იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი პერიოდის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

2.11. კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის თანხა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალის სახით, კომპანიის კაპიტალში, იმის გათვალისწინებით, რომ ის შეტანილი იქნება კომპანიაში მესაკუთრეთა მიერ.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება, შესაძლოა, განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

4. შემოსავლები

კომპანიის შემოსავლები შედგება საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისგან და 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 13,135,421 ლარი (2020 წ.: 7,608,880 ლარი).

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს მხოლოდ ხარჯებად აღიარებულ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს საქონლის რეალიზაციის მომენტში და 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 11,952,500 ლარი (2020 წ.: 6,614,952 ლარი).

6. ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	(18,424)	(17,188)
საიჯარო ხარჯი	(12,058)	(12,000)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(3,386)	-
სხვა ხარჯები	(18,968)	(8,422)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(52,836)	(37,610)

7. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

	2021	2020
საპროცენტო შემოსავალი	9,486	999
საკურსო სხვაობიდან მიღებული ნეტო შემოსულობა	-	103,445
სულ ფინანსური შემოსავალი	9,486	104,444

	2021	2020
საპროცენტო ხარჯები	(198)	(224)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ნეტო ზარალი	(87,660)	-
სულ ფინანსური ხარჯები	(87,858)	(224)

8. ფულადი სახსრები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	6,941	1,143,875
ნაღდი ფული საღაროში	2	2
სულ ფულადი სახსრები	6,943	1,143,877

9. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ნაწილობრივი კონტროლით იმოქმედოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2021 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	მესაკუთრეები	შვილობილი კომპანიები	სხვა დაკავშირებული კომპანიები
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	805,651
მიღებული სესხები	(28)	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	(46,105)	-	(36)

2020 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	მესაკუთრეები	შვილობილი კომპანიები	სხვა დაკავშირებული კომპანიები
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	454,803
მიღებული სესხები	(25,995)	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	(355,238)	-	(36)

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგების თანხები დაფიქსირდა:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
საქონლის რეალიზაცია	-	-	4,450,225
საქონლის შესყიდვა	(11,952,500)	-	-
იჯარის ხარჯი	(12,000)	-	-
ხელფასები და პრემიები	-	(6,000)	-
საპროცენტო ხარჯი	(197)	-	-
გადახდილი დივიდენდები	(925,000)	-	-

9. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგების თანხები დაფიქსირდა:

	მესაკუთრეები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
საქონლის რეალიზაცია	-	-	3,690,078
საქონლის შესყიდვა	(6,614,952)	-	-
იჯარის ხარჯი	(12,000)	-	-
ხელფასები და პრემიები	-	(6,050)	-
საპროცენტო ხარჯი	(224)	-	-
გადახდილი დივიდენდები	(500,000)	-	-

10. პირობითი ვალდებულებები

სასამართლოში საქმის წარმოება

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელები აღიმართოს. საკუთარი შეფასების და შიდა და გარე პროფესიონალური კონსულტაციის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას, რომელიც ჯერ არ არის შესრულებული, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყებების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საურავების დაკისრების უფლება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს „კომპანიის“ ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

11. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდების გაცემა 1,023,500 ლარის ოდენობით.